გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 881 (1993)</u>**

1993 წლის 4 ნოემბერი

უშიშროების საბჭო,

კვლავ ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 24 აგვისტოს 858 და 1993 წლის 6 აგვისტოს 876 რეზოლუციებს, რომლითაც საბჭომ დაადგინა დაეწესებინა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისია,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1993 წლის 27 ოქტომბრის (S/26646) მოხსენება აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, მდგომარეობის შესახებ,

შეშფოთებით აღნიშნავს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის თავდაპირველმა მანდატმა დაკარგა თავისი ძალა იმ საბრძოლო მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა 1993 წლის 16-27 სექტემბერს,

გამოხატავს თავის სერიოზულ შეშფოთებას იმის გამო, რომ კონფლიქტის გაგრძელება აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, ემუქრება მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1993 წლის 27 სექტემბრის მოხსენებას.

2. ასევე მიესალმება გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური დესპანის ძალისხმევას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოქმედ თავმჯდომარესთან თანამშრომლობით და რუსეთის ფედერაციის მთავრობის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით სამშვიდობო პროცესის წინსვლისათვის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით და, კერძოდ, 1993 წლის ნოემბრის დასასრულს ჟენევაში ორივე მხარის მონაწილეობით მოლაპარაკებათა ორგანიზებას;

3. კვლავ იმეორებს თავის 876 (1993) რეზოლუციაში მოყვანილ მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარემ თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერი დარღვევისაგან, და ელოდება გენერალური მდივნის მიერ საქართველოს რესპუბლიკაში წარგზავნილი ფაქტების დამდგენი მისიის მოხსენებას.

4. იწონებს 1994 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ყოფნას 5 სამხედრო მეთვალყურისა და მინიმალური დამხმარე პერსონალის შემადგენლობით შემდეგი დროებითი მანდატით.

ა) კონტაქტის შენარჩუნება კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარესთან და რუსეთის ფედერაციის სამხედრო კონტიგენტთან;

ბ) სიტუაციის შესწავლა და ცენტრალურ დაწესებულებებში მოხსენებათა წარდგენა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ნებისმიერ მოვლენას, რომელიც დაკავშირებული იქნება გაეროს მიერ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის გაწეულ ძალისხმევასთან;

5. ადგენს, 1994 წლის დეკემბრის შემდეგ არ გაუგრძელოს მანდატი გაეროს მისიას საქართველოში, თუ გენერალური მდივანი არ აცნობებს საბჭოს, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი მტკიცე მშვიდობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელებაში ან რომ მანდატის ასეთი გაგრძელება არგებს სამშვიდობო პროცესის მიზნების განხორციელებას და სთხოვს გენერალურ მდივანს, შესაბამის ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში 1994 წლის იანვრის ბოლოსათვის წარმოადგინოს მოხსენება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის შესახებ.

6. სთხოვს გენერალურ მდივანს, გადადგას საორგანიზაციო ნაბიჯები, რომლებიც საბჭოს მიერ ახალი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ მოგვცემდა საშუალებას დაუყოვნებლივ განგველაგებინა დამატებითი პერსონალი საქართველოს გაეროს მეთვალყურეთა მისიის თავდაპირველად სანქცირებული რაოდენობის ფარგლებში, თუ გენერალური მდივანი გვაცნობებს, რომ ეს გამართლებულია ადგილზე შექმნილი მდგომარეობისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობით.

7. ადგენს კვლავ აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე.
(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)